პროექტი

ონის მუნიციპალიტეტის 2026 წლის III კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების შესახებ

2026 წლის III კვარტლის მონაცემებით ონის მუნიციპალიტეტის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 16 872,0 ათ. ლარი, ნაშთი 2026 წლის 1 იანვრისათვის იყო 2 914,3 ათ. ლარი საიდანაც ექვს თვეში გაიწერა 2 901,9 ათ. ლარი და მთლიანი დაზუსტებული ბიუჯეტის III კვარტლის გეგმამ შეადგინა 19 773,9 ათ. ლარი.

შემოსულობები: 2026 წლის III კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 16 872,0 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოვიდა 13 714,3 ათ. ლარი (81%), აქედან: ქონების გადასახადის გეგმა 1 125,5 ათ. ლარი - ფაქტი 1 353,8 ათ. ლარი (120%); დამატებული ღირებულების გადასახადის გეგმა 7 702,0 ათ. ლარი - ფაქტი 7 316,8 ათ. ლარი (95%); გრანტების გეგმამ (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი) შეადგინა 7 402,0 ათ. ლარი - ფაქტი 4 566,7 ათ. ლარი (62%); სხვა შემოსავლების გეგმამ შეადგინა 447,5 ათ. ლარი, ხოლო ფაქტიურად შემოვიდა 281,2 ათ. ლარი (63%), აქედან: პროცენტის გეგმა 120,0 ათ. ლარი - ფაქტი 70,1 ათ. ლარი (58%); რენტას გეგმა 160,0 ათ. ლარი - ფაქტი 99,4 ათ. ლარი (62%); სანებართვო მოსაკრებლების გეგმა შეადგენდა 47,0 ათ. ლარს ფაქტი 36,3 ათ. ლარი (77%); ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა 15,5 ათ. ლარი - ფაქტი 17,9 ათ. ლარი (115%); არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოვიდა 1,2 ათ. ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავების შემოსავლების გეგმამ შეადგინა 35,0 ათ. ლარი - ფაქტი 26,8 ათ. ლარი (77%); ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე დაიგეგმა 70,0 ათ. ლარი, შემოვიდა 29,5 ათ. ლარი (42%); არაფინანსური აქტივების კლების გეგმა 195,0 ათ. ლარი - ფაქტიურად შემოვიდა 195.7 ათ. ლარი (100%);

გადასახდელები: ონის მუნიციპალიტეტის 2026 წლის III კვარტლის დაზუსტებული ბიუჯეტის გადასახდელების გეგმამ შეადგინა 19 773,9 ათ. ლარი და ფაქტიურად გაიხარჯა 13 260,2 ათ. ლარი (67%) აქედან:

მმართველობა და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3 799,1 ათ. ლარი - ფაქტი 3 446,7 ათ. ლარი (91%); აქედან წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) ხარჯების გეგმა იყო 979,4 ათ. ლარი - ფაქტიურად გაიხარჯა 938,8 ათ. ლარი (96%); აღმასრულებელი ორგანოს (მერიისა და მასში შემავალი სამსახურების) ხარჯების გეგმა 2 790,3 ათ. ლარი - ფაქტი 2 502,2 ათ. ლარი (90%); სარეზერვო ფონდის გეგმა 20,6 ათ. ლარი; წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის გეგმა 0,1 ათ. ლარი; ასოცირებული საწევრო გადასახადის გეგმა 5,7 ათ. ლარი - ფაქტი 5.7 ათ. ლარი (100%).

ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმა 11 142,5 ათ. ლარი - ფაქტი 5 913,2 ათ. ლარი (53%). აქედან:

- გზების კაპიტალური შეკეთების ხარჯების გეგმა 4 229,5 ათ. ლარი - ფაქტი 1 897,5ათ. ლარი (45%);
- გზების მიმდინარე შეკეთების გეგმა 391,0 ათ. ლარი - ფაქტი 343,0 ათ. ლარი (88%);
- საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების გეგმა 8,4 ათ. ლარი - ფაქტი 8,4 ათ. ლარი (100%);
- წყლის სისტემის რეაბილიტაციის გეგმა 152,2 ათ. ლარი - ფაქტი 125,1 ათ. ლარი (82%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალური წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრის დაფინანსების გეგმა 211,1 ათ. ლარი - ფაქტი 179,2 ათ. ლარი (85%);
- გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ხარჯების გეგმა 67,2 ათ. ლარი - ფაქტი 67,1 ათ. ლარი (100%);
- გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯების გეგმა 332,6 ათ. ლარი - ფაქტი 255,8 ათ. ლარი (77%);
- კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში გეგმა 12,6 ათ. ლარი - ფაქტი 8,2 ათ. ლარი (65%);
- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაციის გეგმა 67,5 ათ. ლარი - ფაქტი 26,4 ათ. ლარი (39%);
- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაციის გეგმა 174,3 ათ. ლარი - ფაქტი 78,1 ათ. ლარი (45%);
- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია, ექსპლოატაციის გეგმა 3 590,5 ათ. ლარი - ფაქტი 1 909,3 ათ. ლარი (53%);
- საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვის გეგმა 602,0 ათ. ლარი - ფაქტი 322,0 ათ. ლარი (53%);

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამის გეგმა 658,0 ათ. ლარი - ფაქტი 274,8 ათ. ლარი (42%);
- სანიაღვრე არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის გეგმა 166,4 ათ. ლარი - ფაქტი 125,9 ათ. ლარი (76%);
- მუნიციპალური ავტოტრანსპორტის განვითარების გეგმა 466,6 ათ. ლარი - ფაქტი 289,6 ათ. ლარი (62%);
- სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის გეგმა 12,8 ათ. ლარი - ფაქტი 2,8 ათ. ლარი (22%);

დასუფთავება და გარემოს დაცვის გეგმა შეადგენდა შესაბამის პერიოდში 739,0 ათ. ლარს, ფაქტი 697,7 ათ. ლარი (94%). აქედან:

- დასუფთავება და ნარჩენების გატანის გეგმა 590,0 ათ. ლარი - ფაქტი 578,2 ათ. ლარი (98%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გამწვანების სამსახურის გეგმა 141,0 ათ. ლარი, ფაქტი 119,6 ათ. ლარი (85%);
- უპატრონო ცხოველების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებების გეგმა 8,0 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა.

განათლების ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 1 654,7 ათ. ლარი - ფაქტი 1 139,1 ათ. ლარი (69%);

- სკოლამდელი განათლება მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დაფინანსების გეგმა 674,4 ათ. ლარი - ფაქტი 578,0 ათ. ლარი (86%);
- სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობის გეგმა 101,0 ათ. ლარი - ფაქტი 44,3 ათ. ლარი (44%);
- განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობის გეგმა 711,0 ათ. ლარი - ფაქტი 369,0 ათ. ლარი (52%);
- საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის გეგმა 154,0 ათ. ლარი - ფაქტი 134,3 ათ. ლარი (87%);
- წარმატებული სტუდენტებისათვის მერის სტიპენდიის გაცემის ღონისძიებების გეგმა 14,3 ათ. ლარი - ფაქტი 13,6 ათ. ლარი (95%);

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 1 971,9 ათ. ლარი - ფაქტი 1 711,3 ათ. ლარი (87%). აქედან:

- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსის გეგმა 198,0 ათ. ლარი - ფაქტი 189,4 ათ. ლარი (96%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონის გეგმა 158,0 ათ. ლარი - ფაქტი 141,9 ათ. ლარი (90%);
- რაგბის ჯგუფის დაფინანსების გეგმა 75,0 ათ. ლარი, - ფაქტი 75,0 ათ. ლარი (100%);
- წარმატებული სპორტსმენების დახმარების გეგმა 22,7 ათ. ლარი - ფაქტი 18,0 ათ. ლარი (79%);
- კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში გეგმა 65,2 ათ. ლარი, - ფაქტი 62,6 ათ. ლარი (96%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საჭიდაო სკოლის გეგმა 260,0 ათ. ლარი - ფაქტი 229,6 ათ,. ლარი (88%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ზურა ბაკურაძის სახელობის სამუსიკო სკოლის გეგმა 81,0 ათ. ლარი - ფაქტი 72,2 ათ. ლარი (89%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის გეგმა 80,0 ათ. ლარი - ფაქტი 72,3 ათ. ლარი (90%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის გიგა ჯაფარიძის სახელობის კულტურის ცენტრის დაფინანსების გეგმა 436,0 ათ. ლარი - ფაქტი 426,2 ათ. ლარი (98%);
- მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დაფინანსების გეგმა 37,0 ათ. ლარი - ფაქტი 36,6 ათ. ლარი (99%);
- ბიბლიოთეკის დაფინანსების გეგმა 141,0 ათ. ლარი - ფაქტი 120,9 ათ. ლარი (86%);
- ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ტურისტული ცენტრის დაფინანსების გეგმა 76,0 ათ. ლარი - ფაქტი 69,3 ათ. ლარი (91%);
- კულტურული ღონისძიებების დაფინანსების გეგმა 132,0 ათ. ლარი, ფაქტი 108,9 ათ. ლარი (83%);
- რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის გეგმა 100,0 ათ. ლარი ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;
- მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსების გეგმა 100,0 ათ. ლარი - ფაქტი 88,6 ათ. ლარი (89%);
- ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების მხარდაჭერა გეგმა 10,0 ათ. ლარი - ფაქტიური ხარჯვა არ განხორციელებულა;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 466,7 ათ. ლარი - ფაქტი 352,3 ათ. ლარი (75%). აქედან:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსების გეგმა 155,6 ათ. ლარი - ფაქტი 91,4 ათ. ლარი (59%);

- სოციალური უზრუნველყოფის გეგმა 311,2 ათ. ლარი - ფაქტი 260,9 ათ. ლარი (84%). აქედან:

- ავადმყოფთა სოციალური დაცვის გეგმა 136,0 ათ. ლარი - ფაქტი 133,9 ათ. ლარი (98%).

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის გეგმა 52,3 ათ. ლარი - ფაქტი 46,1 ათ. ლარი (88%).

- სოციალურად დაუცველი ოჯახების ბინის ქირით უზრუნველყოფა, ობოლი ბავშვების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვების შეძენასთან დაკავშირებული დახმარების გეგმა 79,0 ათ. ლარი - ფაქტი 49,8 ათ. ლარი (63%).

- ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯის გეგმა 0,5 ათ. ლარი - ფაქტი 0,5 ათ. ლარი (100%);

- სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დახმარების გეგმა 20,0 ათ. ლარი - ფაქტი 15,0 ათ. ლარი (75%);

- 8 მარტის, 9 და 26 მაისის, 17 ოქტომბერის და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარების გეგმა 4,4 ათ. ლარი - ფაქტი 2,5 ათ. ლარი (57%).

- სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და ინვალიდთა ოჯახების სოციალური დახმარების გეგმა 1,9 ათ. ლარი - ფაქტი 1,2 ათ. ლარი (63%).

- ას წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯის გეგმა 7,1 ათ. ლარი - ფაქტი 2,8 ათ. ლარი (39%);

- ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის გეგმა 10,0 ათ. ლარი - ფაქტი 9,0 ათ. ლარი (90%).

სარეზერვო ფონდიდან მიმდინარე პერიოდში გაიხარჯა ონის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ღებში მოსახლეობის წყლით მომარაგებისთვის 250 გრძივი მეტრი მილის შესყიდვისა და ტრანსპორტირებისთვის 1,0 ათ. ლარი; სსიპ სიმონ სხირტლაძის სახელობის ქ. ონის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის (საპილოტე პროგრამის „სამხედრო საქმე“ ფარგლებში) 1,6 ათ. ლარი; ონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შქმერის, ჭიორის, ფარახეთის, გლოლის, ღების, სორის, წედისის, მრავალძალის, ბარისა და ცხმორის მისასვლელი და შიდა გზების გაწმენდა თოვლისა და მეწყერისაგან 12,0 ათ. ლარი; ონის სალოტბარო სკოლის ტრანსპორტირებისთვის 2,0 ათ. ლარი; ონის მუნიციპალიტეტის სოფ. ფსორი-ბაჯიხევის გზის რეაბილიტაციისთვის (მოსული უხვი ნალექის შედეგად გააქტიურებული მეწყრული პროცესების დროს) 18,7 ათ. ლარი; საჭიდაო სკოლის სპორტსმენების და მწვრთნელების ტრანსპორტირება ქ. ბათუმში 2,0 ათ. ლარი; სოფ. ხირხონისში "მორჩხევში" წყალსადენის სათავის, რეზერვუარისა და ქსელში მოწყობისთვის 29,0 ათ. ლარი; სოფ. წედისში 2026 წლის 18 აგვისტოს, კერძო საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ სახლში, სარდაფში აღმოჩენილი 5 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ლეშისგან შენობის და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების და ნარჩენების გატანისთვის 6,0 ათ. ლარი. სულ გაიხარჯა 72,3 ათ. ლარი.

საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის (01.10.2026წ.) ნაშთი შეადგენდა 3 368,3 ათ. ლარს. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერებიდან 2 065,3 ათ. ლარს და საკუთარი შემოსავლებიდან 1 303,0 ათ. ლარს.

შემსრულებელი: თინათინ ბროლაშვილი

ნინო მეტრეველი